

№ 11

16 მ ა რ ი 1914 წ.

გოლომაშვილის გოლომა

წლიური ფასი

= 3 მან =



გოლომაშვილის გოლომა

ცალკე ნომერი 5 კაპ.

შიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ლია 9—3 საათ.

ფელიციანი მესამე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დებულისა: თბილისი კლდე.

1. თრი ხანა.—ა—ისა. 2. ნიკოლაძის აზრი მედვინ. განვითარებაზე.—  
3. „ასეთი ჩვეულების საფარი“. — \* \* —სა. 4. ქართველ კათოლიკთა ტიბიკო—  
ნი.—ქართველ კათოლიკები. 5. უმაღურობაა, უვიცობაა, თუ თრივე ერთად?!—  
გარეშესი. 6. გაზეთი „იმერეთი“. 7. „განსოფლეთ და არ დაივიწყოთ“. — დ. გან—  
ნაძესი. 8. გაზ. „იმერეთი“ და ტერიტორიალური საკითხი. 9. ჩემი საშუალო.—  
დ. კასრაძესი. 10. პრესა. 11. უკანასკნელი ამბები. 12. მოწოდება.

მიღება ხელის მოწერა 1914 წ.

გოლომაშვილის გოლომა

და სალიტერატურო ჟურნალი

„კლდე“-ზედ.

ფასი:	1 წლით.	.	.	.	.	.	3 მან.
	6 თვით.	.	.	.	.	.	2 მან.
	3 თვით.	.	.	.	.	.	1 მან.

ცალკე ნომერი უცელგან 5 კაპ.

## თ რ ი ს ა ხ ა

შესაძლებელია თუ არა ამ ქამად ჩვენში წმინდა და ბურჯუაზიული პარტიის დაარსება? ი საკითხი, რომელსაც უტრიიალებს ქართული პრესა. იმ დროს როცა გვჩეოთ „იმერეთმა“ თითქმის მთელი პროგრამა გამოავყენა მომავალის პარტიისა, „სახალხო გაზეთი“ და ქუთათური „აზრი“ ამ საკითხს სხვანაირად უტესებონ, მათ არა სწამო ასეთი რამ. რასაკირველია ამ ორ უკანასკნელ გაზეთ შორის დიდი განსხვავებაა როცა „სახალხო გაზეთი“ ამბობს, რომ არა მწამს ჩვენმა „ზომიერებმა“ რამე უნარი გამოიჩინონ, ეს მარტოოდნ ინტრიგაა. ყველაფრთხოან სჩანს, რომ „სახალხო გაზეთს“ არამათუ არა სწამს, არც უნდა ასეთი პარტიის დაარსება და არ უნდა კი იმიტომ, რომ თუ საქართველოში მართლა ახალი პარტია დაარსდა, ეს უპირველესად ფედერალისტების დაღუპვის მოასწავებს. ფედერალისტური პარტია საქართველოში ამ ქამად ის ერთად-ერთი რუსნაა, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ახალი თრიანიზაცია ახალის კლასისა, რომელსაც ეს პარტია სიბნელეში, იდეურ რეაქციაში და რეტროგრადულ მდგრამარეობაში ამყოფებდა. ფედერალისტური პარტია ამ ქამად ერთად-ერთი რეაქციონური პარტიაა, რომელსაც სრულებით არ ესმის ახალი ვითარება.

სულ სხვა გაზეთი „აზრი“, რომელიც თუმცა სკეპტიკურად უტესების წმინდა ბურჯუაზიულ პარტიის დაარსებას, მაგრამ თვითვეა დაინტერესებული საზოგადოებრივ დიუქერენტიაცით: ამიტომ ძალაუნებურად ისეთ პირობებში ვართ ჩაყნებულნი, როცა ანგარიში უნდა გაუშიოთ სწორედ დასელების სკეპტიკიზმს და არაეითარი ყურადღება არ მივაქციოთ ფედერალისტების ინტრიგას.

ვისაც დაკვირვების ნიჭი აქვს ის უსათუოდ მიხვდება, რომ ამ ქამად ჩვენში იგივე ხდება, რაც მოხდა ამ ოციოდე წლის წინეთ, როცა დასელები გამოვიდნენ ჩვენში. შინაარსის მხრივ ამ ორ ხანას შორის, რასაკირველია; გან-სხვავებაა. მაშინ საქმე გვქონდა მარქისმთან, ეკონომიკურ თეორიასთან, ეხლა საქმე გვაქვს ეკონომიკურ პრაქტიკასთან. მაშინ ირაზმებოდა ჩვენი დემოკრატია, ეხლა ირაზმება ჩვენი ბურჯუაზია. ეჭვი არ არის, დასელებმა დიდი მონაზილეობა მიიღეს არა მარტი დემოკრატიის იდეოლოგიის შექმნაში, არამედ ბურჯუაზიის გათვითუნობიერებაშიც. დასელებმა, რომლებმაც საშინე-

ლი სიმტკიცე და უნარი გამოიჩინეს შემდეგში თორიაში, იმ თავითვე პრაქტიკული შნოც გვიჩვენეს. ცხადია ისნი ჰეშმარიტი სოციალისტები იყვნენ, აღმსარებელნი მარტოოდნ პროლეტარიატის სოციალიზმისა მაგრამ მათ კარგად იკოდნენ, რომ სოციალიზმი თუ პროლეტარიატის რელიგია არის, იმავ დროს, ყველა ღარიბთა ფილოსოფიაც იყო. ცოტა იყო მაშინ პროლეტარიატი ჩვენში, მაგრამ სამაგიიროდ მათ წინ იყო ღარიბი საქართველო, საქართველო ყოველს უფლებას მოკლებული, ეკონომიკურად სრული არარაობა და ი, ასეთ უმწეო ქვეყანაში მათ დაიწყეს ისეთ თეორიის ქადაგება, რომელიც ამბობდა: ეკონომიკური განვითარების კანონები ყველგან ერთია, მაშინადამე საქართველოც უნდა გახდეს ოდესმე კაპიტალისტური ქვეყანაო. მომავალი ისტორია ჩვენის ქვეყნისა მდესმე რტყვის, რომ ასეთ ქადაგებაში! პროგრესისა და აღორძინების იდეის გარდა, დიდი პატრიოტიზმიც იდო, რადგანაც რა არის თუ არ პატრიოტიზმი ღარიბსა და უმწეო ერს ჩაპერო სული უკეთესის იმედისა. იყო თუ არა მთელი თეორია თავიდენ ბოლომდის მართალი და სწორი? ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამას მარტოოდნ თვით და სელებისთვის აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მათი თეორიის ის ნაწილი, რომელიც მომავალ ქართველ ბურჯუაზიას ეხებოდა, ჩვენთვის ფრიად საინტერესოა.

ჩვენ არ ვიცით, არიან თუ არა ჩვენ თნამედროვე დასელთა შორის რევიზიონისტები, უფრო ნაკლებ ვიცით, იყვნენ თუ არა ამ ოცა წლის წინად, მაგრამ ბერნშტეინის სიტყვები „Bewegung ist alles, das Endziel nichts!“ მათ საუკეთესოდ ჰქონდათ შეგნებული, და მათაც შექმნეს მოძრაობა! მართალია, ამ მოძრაობაში ბერნი რამ იყო მარტოოდნ თეორიის ნაკარნახევი რომელსაც პრაქტიკა არ იწვევდა, მართალია, ქართველი სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა ბშირად პრონუნიამენტოს უფრო ჰევედა, ვიდრე ბრძოლას, რომ უფრო მეტი აქტივობისკენ გამოხვია ძველი საქართველო, მაგრამ დასელების ღვაწლი ქართველ ერის პროგრესისა და აღორძინების საქმეში სწორედ ეს ნამეტანობა იყო როგორც ბრძოლის მიზანთა, აგრედვე ბრძოლის საშუალებათა.

მას უკან კარგა ხანმა გაიარა და, ვუიქრობთ, დადგა ის დრო, როცა ქართველი ბურჯუაზია პოლიტიკურ ასპარეზზედ გამოდის. შექმნის ეს ბურჯუაზია წმინდა ბურჯუაზიულ პარტიას, თუ არა,

ა., საკითხი, რომელიც იბადება ყველაზედ პირველ. იქმნება შისი გამოსვლა დამოუკიდებელი, თუ იგი ანიცილის გავლენას სხვა კლასებისას? უნდა გამოვტყდეთ, რომ პ-რველ ხანებში პარტიულ სიწმინდეზედ ლაპარაკი მხოლოდ კეოლი სურვილი იქმნება. ჩვენის აზრით, პირველ ხანებში ქართულ ბურუჟაზიულ პარტიასაც იგივე დ ემართება, რაც დაემართა ქართველ პროლეტარიატის პარტიას. როგორც სოციალ-დემოკრატია ვერ ასცდა გლეხების გავლენას, ისე ქართველი ბურუჟაზია ვერ ასცდება პირველ მთ თავად-აზნაურულ გავლენას. და ეს იქმნება ისეთივე გადახრა „სხეისენ“, როგორც პროლეტარიატის პარტიის გლეხობამდე „დაქვეითება“. როგორც მაშინ, ამ თხუთმეტი წლის წინად და ებლაც გლეხობა წარმოადგენდა დასელებისთვის ხალხის უმრავლესობას, ისე ეხლა ქართულ ბურუჟაზიულ პარტიისთვის თავად-აზნაურობა ის დიდი უმრავლესობა იქმნება, რომელიც ასტებითად მოქლებული არ არის ბურზუაზიულ ინტერესებს. როგორც თანამედროვე ცხოვრებამ პროლეტარიატს ის თვი-

სება შესძინა, რომ გლეხობაზედ დიდ გავლენას ახდენს, არც ბურუჟაზია უნდა იყოს მოკლებული იმ თვისებას, რომ ჩეაქციონურ თავად-აზნაურობას ბევრი რამ შეუცვალოს. ამ რიგად, საკითხი თავად-აზნაურობის გავლენისა მომავალ ბურუჟაზიულ პარტიაზედ პრინციპიალური საკითხი არ არის, და არც თუ ეს გავლენა იქმნება, ხანგრძლივი. იგი მხოლოდ ერთგვარი ისტორიული აუცილებლობაა, დამკვიდრებული იმ სოციალურ თეორიაზედ, რომ არსებითად კლასები კი არ იღუპებიან, არამედ ერთ მეორეში გადადინ, ითქვაუებიან და ამიტომ მათ ორგანიულ დაშორებაზედ და გათქვეფაზედ კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ სწორედ გათქვეფაზედ, მათს ერთმანეთში შერევაზედ. ვინ გაიმარჯვებს ამ შერევაში, ბურუჟაზია, თუ თავად-აზნაურობა? რასაკვირველია, ის, ვინც უფრო ახალგაზრდაა, ვინც მეტ სოციალურ ენერგიის პატრონია. ასეთი კი— ბურუჟაზია არის.

ა—ი.

## 6. ნიკოლაძის აზრი მედვინეობის განვითარებაზე<sup>\*)</sup>

(შისის ინციატივით შეღვინეთა საზოგადოების წესდების დამტკიცების გაშო.

ქუთაისის გუბერნიაში არც ერთიდ არგი მეურნეობისა არ განიცდის ისეთ ცუდ მდგომარეობას, როგორსაც მელვინეობა. ჩვენში მომდინარეობს თითქმის ნოეს დროდან და მას შერთველთა ცხოვრებაში თვალსაჩინო აღვილი ეყავა ყოველოვის და ახლაც უკავია.

ოფიციალურ ცნობებით, 1909 წელს ვენახთ მოშენებული მამულის რაოდენობა უდრიდა 20,314 ლესტინას, <sup>1)</sup> ყურძნის მოსავლისა — 3,178,404 ფუთს, ხოლო თვით ღვინოსა — 2,469,540 ვედროს, და გამოხდილი სპირტისა კი 944,333 გრადუსს. წნანდელ წლების ცნობები გვიჩვენებენ, რომ 1906 წელს ყურძნის მოსავლი უდრიდა 3,355,840 ფ. <sup>2)</sup> 1907 წ.—4,426,604 ფ. <sup>3)</sup> და 1908 წ.—4,015,841 ფ. <sup>4)</sup>

<sup>1)</sup> იხ. „Обз. Кут. губ. за 1909 г.“ გვ. 22—23. <sup>2)</sup> „Обз. 1906 г.“ გვ. 19; <sup>3)</sup> „Обз. 1907 г.“ გვ. 20; <sup>4)</sup> „Обз. 1908 г.“ გვ. 29.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ ცნობებში სავსებით კიდევ როდი გამოიხატება ყველაფერი, მაგრამ აქედანაც აშეარა ხდება, რომ როგორც ვენახთ მოშენებული მამულისა, ისე ყურძნის მოსავლით, ჩვენს გუბერნიას მეორე აღვილი უკავია მთელს იმპერიაში.

მეორე ოფიციალურ წყაროს ცნობებით მეურნეობის როლი ჩვენს თვალში კიდევ უფრო მნიშვნელოვან ხასიათსა დებულობს: ჩვენს გუბერნიაში 70,260 მელვინეა, მაშინ როცა თბილისის გუბერნიაში საცავენას ქვეშ დაკავებულია იმდენივე მამული, რამდენიც ჩვენს შეარეში— მათთით რიცხვი გაცილებით ნაკლებია— 42,807.

ცხადია, ჩვენებურ მეურნისგან, რომლის განკარგულებაშია საშუალოთ მხოლოდ დესეტინის ერთ მესამედზე ნაკლები სავენაზე მამული,— არ

<sup>\*)</sup> მის მიერ შედგენილი მოხსენებიდან: „Объяснительная записка къ проекту устава „Кутаисскаго винодѣльческаго Общества“.

მოითხოვება, რომ მან: კარგი ხარისხის ყურძენიც  
მოიყვანოს, ღვინოც კარგი დაყენოს და მასთან,  
თანამდებროვე ტეხნიკითაც ისარგებლოს და მოაწ-  
ყოს როგორც რიგია და წესი, კარგი ღვინოს, გა-  
კეთებისა, მისი დაძველება — შენახვისა და გადატა-  
ნის საქმე, — რომ მისი ნაწარმოები კარგ ფაქტი გა-  
საღდეს იქ სადაც იმაზე დიდი მოთხოვნილებაა.

გამოცდილება ამტკიცებს; რომ მოწინავე  
ქვეყნებშიც კი შეუძლებელია მეღვინეობის კარგად  
დაყენება კერძო მეღვნეოთაგან, თუ მათს განკარ  
გულებაში არა ფართე სავენახე მამული და, მას-  
თან, საკმაოდ დიდი, კაპიტალი ან კრედიტი. წვრი-  
ლი მეღვინებსთვის კი შესაძლოა მარტოდ მარტო  
ყურადნის მოყვანა და მისი ან მისგან დაყენებული  
ღვინოს დაუყონებლივი გაყიდვა.

ყურძნის წვენისაგან ისეთი ღვინოს მისაღებათ, რომელიც აიტანს შენახვასა და გადატანას, საკიროა, რომ ეს წვენი შენახულ-დაძელებულ იქნას არა ნაკლებ სამის წლისა, ისეთ სარდაფსა ანუ მარანში, საღაც ზაფხულ-ზამთრობით ჰაერის სითბო არ უნდა სცილდებოდეს—არც ზეცით და არც ქვეცით—რეომიურის 10.—12 გრადუსს.

ასეთი სარდაფის გამართვა კი ძირითად ჯდება — რა გინდ პატარა არ უნდა იყოს იგი, მისავის სა- ჭიროა მაინც რამდენიმე ათა ათასი მანეთი. ეს კი მოსახერხებელია შდილრისათვის, და არა ისეთი ტუ- პის მეურნესათვის, რანაირებთანაც ჩვენ გვაქვს საქმე ქუთასის გუბერნიაში.

ქუთაისის გუბერნაციაში ძლიერ იშვიათია მსხვილი მიწათმფლობელობა და მეცნიერობა. ამიტომაც არის, რომ ჩვენში შეღვინეობის განვითარება დღესაც პირველ-ყოფილ სტადიას განიცდის. და ეს ასე იქნება მანამდი, სანამ არ დაასრდება ჩვენში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეაკავშირებს ჩვენს მეურნეობას თუ იმ სახით და შეიქმნის მათგან ისეთს ძალას, რომ მელსაც მსხვილი მიწათმფლობელობაც კი ვერ იჯობებს. მაშინ და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო, რომ ჩვენი ყურძნის წვენისგან ნამდვილი ღვინო დადგეს და იგი ყველგან ფასობადეს და მწარმოებელის შრომას ყოველთვის აშართოს.

დაძველებაზე, მით უფრო რამდენიმე წლის განმავალობაში, ლაპარაკიც მეტია.

რუსეთის ყველა სხვა კუთხებზთან უ ედარებით,  
სახარპირო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა ჯერ კიდევ  
არ არის გამოქვეყნებული და ეს იმიტომ რომ დღე-  
მდი შევენახეობა-მეღვინეობას ჯერ კიდევ არ შეჰე-  
ბია მსხვილ მრწველთა ხელი, ამაც ფეხზე დააყე-  
ნა და საუცხოვო განავითარა მეურნეობის ეს და-  
რგი არამართ მარტო სატრანსპორტოსა და იტალიაში,  
არამედ ყირიმისა და კახეთის საუფლისწულო მამულ-  
შიც.

მეცნიანებისთვის საუცხოვო პირობებით ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია ჩვენი მხარე: მზის სხივთა სიუბკე, ზღვასთან სიახლოვე და სხვა გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებით ჩვენი ქვეყანა არ ჩამოუტჩება არც ერთ რესეპტის მხარეს და ოვით საფრანგეთსაც, უირონდოს მიღამოთა გამოკლებით (ბორდო-ლაფიტიდან ვიდრე გრავის ურამლე)...

სარდაფის გაცემება, მისი მორთვა გაუშვილესებული იარაღებითა და საუკეთესო ჭურვლებით, გაუდასახმი და გადასაგზავნი მოწყობილობები, საცი-ვადო განკოდფილებანი, საცდელი ლაბორატო-რიები და სხვ., ის რაებია საჭირო ჩვენში მქონეობის განსავითარებლად, საჭიროა ამისათვის დი-დი ხარჯების გაწევა. შეუძლებელია ჩვენებურ ღვი-ნოსთვის ფართ ბაზრის მოპოვება და მისი გაყიდვა ხელსაყრელ ფასებში მანამდი, სანამ ჩვენი მეღონე-ობის საჭე არ დაეყრდნობა მეცნიერულ საფუძ-ვლებზე, რომ ისეთის ნდობით მოეპყრას შას შემა-რებელი, როგორც საფრანგეთისა ანუ რეინის ცნო-ბითი მარკების ღვინოს.

ამის გაკეთება კი წვრილი მიწათმდებლობრივ-  
ბის მთარეში შეუძლებელია ვინიფრიკაციის კოლექ-  
ტიურ ფორმის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ახ-  
თის კოლექტიურის ძალითაა შესაძლო ჩვენში რკი-  
ნა-ბეტონით გარს შემორტყმული მინის რეზერვარე-  
ბის დადგმა და მათის საშუალებითა და დახლოვ-  
ნებულ სპეციალისტების ხელმძღვანელობით კარგი  
ღვინოს დაყრინება და მისი შენახვა-დაძვრება შე-  
საფერ სარდაფებში. უიმისის შეუძლებელია ღვინოს  
სამეცნიერო საქონლად ქცევა, რომ მან გადაიტანოს  
შენახვა და შორისონ ჭრიყნებს გადაეზარნა...

რაღა გავაგრძელოთ: ნათქვამიდანაც ცხადია,  
რომ შელვინებულის განსავითარებლად აუკილებელი  
საჭიროა შელვინეთა საზოგადოების დაარსება...

სამი წლის განმავლობაში ასეთ სარდაფუში ფურ-  
თი ღვინოს შენახვა (წლიურად 40 ათას მანეთიან  
გასავალით) დაჯდება არა უმცტეს 46 კაპ.; ძირი-  
თად თანსახუ წლიური 7 პროცენტისა პროცენტი-  
დან თითო ფურთ ღვინოს მოუწევს 33 კ., ბოლოს,  
თითო ფურთზე გაცემულ ლრ-ორ მანეთის პროცენ-

ტები და პროცენტების პროცენტები შეადგენენ  
35 კა.

ამნაირათ, ფუთი ღვინის დაძველება დაჯდება სულ 1 მ. და 14 კ., მიუმატოთ პირვანდელი სესხის საზიონ მისაცემი თუნდ 2 მანეთი და ჩვენ მავიღებთ საჟყვეთესო ხარისხის ღვინოს ძირითად ღირებულებას: ფუთზე 3 მანეთზე ცოტა მეტს ან ბოლოზე 16 კაპიქს.

რამდენიც არ უნდა დავაყენოთ ასეთი ღვინო, მას ყველგან სიამოვნებით გაასაღებენ 50—40 კ. მაგრამ ჩვენ არ 25 კ. ვიანგარიშოთ, მაინც და კორჩენთ ბოთლზე 9 კ. ან ვეტროზე 9 აბას... .

და აი სწორება აქ იმარხება ეკონომიკური ძარა-  
ლები კოლექტური გინიფიციაციისა: კარგი ღვინოს  
დაყენება, მასზე სავარრანტო აპერაციების შემოღე-  
ბა, ჩვენებური ყურძნის წვენიდან საიმედო საქონ-  
ლის მიღება და მისთვის ხელსაყრელი ბაზრების მო-  
პოება დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენის სოფლის  
კულტურულ-ეკონომიკურ აღორძინებას.

ნამდგილი წყაროებიდან ამოკრეფილი ცნობებით, საჭირო საჩრდაფისა ანუ მარნის აშენება ქუთაისში და მისი მოროვა გაუმჯობესებული იარაღებითა და ქურქელით დაჯდება—ქუთაისში 2 დესეტინა, ხოლო ყვირილაში საწყობისთვის საჭირო ათი დესეტინა მიწით — 400,000 მანეთი. საწარმოვათნებით სამი ჭლის განმავლობაში საჭიროა 100,000 მანეთი. მობარებულ ღვინოზე სესხის გაცემის მოედანი აპერაცია დაემყარება სავარრანტო სისტემაზე, რომლის საშუალებით ღვინოს ჰატრონისთვის სესხის მისაცემათ არაა საჭირო საკუთარი თანხის შედეგენა, სესხის ბანკები იძლევიან, თანახმად საქონლის საწყობების შესახებ არსებულ კანონებისა).

ასეთის წესით საზოგადოებისათვის საეჭერო  
საკმარის 500,000 განეთი. რომელ თანხიდანაც სა-  
ზოგადოო ირიცხება ერთი შეხუთედი, ხოლო თასი  
შეხუთედი, ე. ი. 400,000 გან., შენდება სარძაფი,  
რომელიც უზრუნველყოფს ბანკებიდან 300,000  
ლარ ლინიოსთვის სავარრანტო თანხის მიღებას.

უმთავრეს სარდაფის აშენება განხრახულია ქუთაისში—იმპერიოსისა, რაჟო—ლეჩხუმისა და გურია-სამეგრელოს ბუნებრივ კუნტაში.

მაგრამ საზოგადოების დანიშნულება როდი განისაზღვრება მარტო სარდაფის აშენებითა, კარგი ხარისხის ღვინის დაყენებითა და მისთვის ბაზრის მოპოვებით. მისი განზრახვა აგრეთვე მეცნახევა- თვის საჭირო იარაღებისა, მიწის მინერალური სასუქისა და სხვა მიწოდება, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი მინიშვნელობა ექნება ჩვენში სამეურნეო კულ-ტურის აღორძინებაში.

მარგანეცის წასაღებათ საზღვარ-გარეთიდან  
ორთქლის გემები კარიღობ მოითან ფოს და ი

ამ გეშებით შეოთხედ ფრასტად შესაძლოა მოტანა  
ისეთი საუცხოვო ხარისხის სასუქისა, რომელსაც  
ეწოდება ტომასის ფქვილი და რომლის გამოყენე-  
ბა ჩვენში დღიდათ წასწევს წინ მეურნეობის ინტი-  
ფიკაციას, პატარა მამულიდან დიდ მოსავლის მი-  
ღებას, რაც დაუფასებელია ყოველ წერილ მეურ-  
ნეობის ქვეყნისთვის საზოგადოთ და განსაკუთრებით  
ჩვენი გუბერნიისთვის.

დანარჩენ საკითხებზე პასუხს იძლევა თვით  
წესდება.

კიმედოვნებთ, რომ საზოგადოების აქციათ  
უძებეს ნაწილს დაინაწილებენ ისევ ადგილობრივი  
მეურნე-მეცნახენი. მიღებულია სოფლის მცხოვრებ-  
თა ჭინადაღება იმის შესახებ, რომ ამ საქმეს მოექ-  
ცეს სასურათო თანხა და მით უზრუნველყოფილ  
იქნეს მასში თვით მწარმოებლების მონაწილეობა.  
მაგრამ ამაზე იმედების დამყარება არა საიმედოა და  
ამიტომ დანარჩენი ნაწილი აქციებისა უნდა განა-  
წილდეს პეტერბურგში, იმ საკრედიტო დაწესებუ-  
ლებათა კლიენტებს შორის, რომელნიც სავარაუნ-  
ტო სესხს იძლევიან.

## გაზ. „კონტერაცია“.

„ასეთი ჩვეულების სალტი“

ამასწინად პ. არ. ჯ—შეიღომა ჩეცნს უურნალ-  
ში მოთავსებულ ბატონ ტყვიას „მიწის საკითხის“  
„შესახებ მეაცრი წერილი დაგეჭდა და „კლდის“  
თანამშრომლებს საზოგადოთ „ბედოვლათ მეცნიე-  
რები“ უწოდა. ამასთანავე არ. ჯ—შვილმა ის აზრი  
გამოსთქვა, რომ პუბლიცისტის წერილი მუდამ მცც-  
ნიერულია უნდა იყოს დასაბუთებულიო.

— როგორ უპასუხა ამაზედ ბ. ტყვიამ გა-  
ზეთ „იმერეთი“ — თქვენ გსურთ მე, პუბლიცისტს,  
პირში ლაგამი ამომდოთ და არაფერი მათქმევი-  
ნოთ, ვიდრე მეცნიერულ ად არ დავასაბუთებ ჩემს  
ობიტოლებას?

— გვინდა და რა ვქნათ! სხვანაირად ან  
შეგვიძლიან, ასეთი ჩვეულების ხალხი გახლავართ!“  
უბასუხა ბ. არ. ჯ—შეიომა.

ამ იმპერატიულ მოთხოვნილების შემდეგ უნდა ვიყვაროთ, რომ თვით ბ. არ. ჯ—შვილი ან თავით-ფეხამდე მეცნიერია, ან მეცნიერულად შაინც ივის წერა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი მისი ნაწერი  
მეცნიერული მხილებაა და არც ერთხელ არ უცუდ-  
ოსტნია.

ასე კი არის? ამასშინად „,სახალხო გაზეობა“ გამოაცხადა, გამოვიდა პოლონელი ნაციონალისტის იან კოვაკის წიგნი „პოლონელი ხაოსი და მისი სამშობლო“, რომელშიაც პოლო-

ნელი ხალხის შეხედულებაა მოყვანილი ტერიტორიის საკითხები.

ამასთანავე მოყვანილი იყო. პატარა ციტატა ამ წიგნიდან.

თანახმად ამ ციტატისა გამოდიოდა, რომ პოლონელები წინააღმდეგნი ყოფილან „ისტორიულ პოლონეთის“ საზღვრებისა.

ასეთი ახსნა-განმარტება იანკოვსკის წიგნისა „სახალხო გაზეთის“ მიერ ისეთ არჩევულებრივად მოგვეჩენა, რომ მოვისურვეთ ჩვენც წაგვევითხა იანკოვსკის „პოლონელი ხალხი და მისი სამშობლო“.

სამწუხაროდ არც ერთ წიგნის მაღაზიაში ეს წიგნი არ იღმოჩნდა, და ყველგან გვითხრეს, რომ წიგნი გამოვადა, მაგრამ თბილისში არ მოსულა გასასყიდადო.

ძალა-უნებურად დაგვებადა აზრი, საიდან ამოიკითხა „სახალხო გაზეთმა“ იანკოვსკის ციტატა?

შეიძლებოდა გვეფიქრა კიდევ ერთი რამ, რომ რედაქტის პირდაპირ ეტორისაგან მოუვიდა წიგნი. თუ რედაქტის მართლა ჰქონდა ეს წიგნი, მაშინ ჩვენთვის ფრიად საინტერესო იყო „სახალხო გაზეთს“ უფრო მეტი ამონაწერი მოეყვანა იმ წიგნიდან, რადგანაც ტერიტორიის საკითხი პოლონეთში იმავე პირობებში იმყოფება, როგორც საკართველოში და აუკარა პოლონელების პრაქტიკული დასკვნა ამ საკითხში ჩვენთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო.

რომ ასეთ კამათში გამოგვეწვია „სახალხო გაზეთი“, ჩვენ შემდეგი დავწერეთ ერთ წარსულ წერილში.

„ჩვენ იმაშიც ეჭვი შეგვაქვს, რომ „სახალხო გაზეთს“ წაეკითხოს „პოლონელ ნაციონალისტ“ იანკოვსკის წიგნი „პოლონელი და მისი სამშობლო“. ჩვენ ვფიქრობთ რომ გაზეთმა მხოლოდ რეცენზია წაიკითხა ამ წიგნის შესახებ რომელსამე სატახტო გაზეთში და ის გადმობეჭდა“.

როგორც მკითხველი დაინახავს ამ ამონაწერში ციტაოდები ბრალდებაც არის და თუ „სახალხო გაზეთმა“ არ მოისურვა ჩვენი ცნობის მოყვარეობის დამატებილება იანკოვსკის წიგნის შინაარსის გაცნობით, თუ ეს მეტ ბარგად მიიჩნია, თავი მანც უნდა ემართლებინა, რადგანაც აშკარა ცულ-ლუტობაზედ მიღოთითეთ, ისეთ ცულლუტობაზედ,

რომელიც არც ერთ პუბლიცისტისთვის და არც ერთ რედაქტისთვის საკადრისი არ არის.

მაგრამ გაიარა მთელმა კვირამ და „სახალო გაზეთმა“ ხმა არ ამოიღო.

რაკი ასე, რაკი გაზეთმა ჩვენი ბრალდება არ უარპყო, ჩვენ უფლება გვაქვს უფრო მეტის სიბეჭვითო ვსტევათ, რომ „სახალხო გაზეთს“ იანკოვსკის წიგნი არ წაუკითხავს, მაგრამ მის შინაარსზედ ლაპარაკობს და დასკვნა გამოპყავს, მცტადრე ისეთ საკითხის შესახებ, რომელზედაც მთელ ქართულ პრესაში კამათი სწარმოებს.

რა არის ეს, მეცნიერება, თუ ცულლუტობა?

ნუ თუ ამის შემდეგ ბ. არ. ჯ—შეილებს ნება აქვთ სხვის ბედოვლათობაზედ ილაპარაკონ, სხვას მეცნიერება დაუწუნონ!

დასკვნა ერთია —

თუ ბ. არ. ჯ—შეილს ისეთი წიგნის დამოწმება შესძლებია, რომელიც თვალითაც არ უნახას, რაღა უნდა იყოს მისი მეცნიერება.

მაშ რაღა უფლებით ეკამათება ეს მეცნიერი პუბლიცისტი ბ ნ ტავიას?

კათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავს!

\* \*

## ქართველ ქათოლიკ ქეთა ტიბიკონი

უკანასკნელ დროს ქართველ კათოლიკეთა წრეებში ბეჭედს ლაპარაკობენ ერთს უცნაურ მოვლენაზედ. როგორც ვიცით, ქართველ კათოლიკებს აკრძალული აქვთ მთავრობისაგან ქართული ენის ხმაჩება წირვის დროს, და ამიტომ ბეჭედი კათოლიკები იძულებული იყო სომეხ-კათოლიკეთა რიცხვში ჩაწერილიყო.

ეს ეროვნული დევნა აქამდის მარტო გაბატონებულ ერისაგან სწარმოებდა, და უკანასკნელ დროს ამავე გზას ადგებიან სომხებიც, რომელნიც ადგილობრივ და რომის პაპთანაც პროპაგანდას სწევენ, რომ ქართველი კათოლიკენი არც არსებობენ და თუნდაც არსებობდნენ, არას გზით ნება არ უნდა მიეცეთ მათ ქართულად წირვისათ. ამას იმით ასაბუთებენ, რომ ასეთი ნების დართვა პაპისაგან, კონფლიქტს გამოიწვევს რუსეთის მთავრობასთანაო,

რომელიც წინააღმდეგია ქართველ კათოლიკებისა, ამას არა სჯერდებიან და პირდაპირ მუქარავსაც არ ერიდებიან: თუ ქართველ კათოლიკეთ ნება მიეციო ქართული წირვა-ლოცვისა, აუცილებლად სასხლი დაიღვრებაო (?) და მესამეც: თვით ქართველ კათოლიკებს აშინებენ: თუ ქართულად დაიწყეთ წირვა-ლოცვა—ყველას გაგამართლ-მაღი ფეხლებენ.

ესთი ხრისტიანი ეძებენ გასავალს არა მარტო თვით საქართველოში, არამედ რომის პაპთანაც, საცა ჰყავთ საკუთარი ავენტები. ჩვენ, ქართველი კათოლიკენ, დიდი ხანია ვიტანჯებით ამ აუტანელ მდგომარეობით და პატრიონი არა გვყავს მოქმობე, მაგრამ დღეს, როცა რომის პაპთან აღმრულია ეს საკითხი, ყველამ უნდა ავიმზღლოთ ხმა და მოვითხოვთ სამართალი, რადგან არც ერთს ადამიანს, თუ კი იგი კეშმარიტად ღვთის მოსავია, არ შეუძლიან უცხა ენაზედ ლოცვა. ჩვენი მოთხოვნილებაა აღდგენა ქართულის ტიბიკონისა და, ღვთის მეოხებით, იქნება კიდეც მივაღწიოთ ამას.

### ქართველი კათოლიკე

## უმაღლერობაა, უკიცობა, თუ ორიგე ერთად?!

(ჭერიდა ფოთიდან)

„ვა რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიერო?  
მარცხოვნებელი შენ მათი წამწყმელლად მიგიჩნიერო“. (გურამიშვილი)

პირველ წერილში \*) მოგახსენეთ, რომ ნიკოლაძის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა იღეურ ხასიათს მოკლებულია მეოქვი. ფენიქს-იქ-შებ-რაგადასთა და მათ მომავლინებელ ქმა-ბიქთა უკეთურს კალმის ნაცოდვილებს, რაც უნდა დემაგოგიურ ხრისტებს მიჰმართნ, რაც უნდა საგიტაციო კორიან-ტული ააყენონ, არ ძალუმსთ ფოთელთა მეხსიერები-საგან ამოშალონ ის ყოვლად უბადრუკი და ბეჩავი სურათი, რასაც ამ ოცის წლის წინად წარმოადგენდა ფოთი და ის სანუგეშო სანახაობა, რაც ახლა აქვს.

იყო ისეთი სამაგალითო და საარაკო „ნავთ-

საღვური“, რომელშიაც გემები შემოქანებას ვერ ჰყედავდა, რომ დანაშაულის მანძილზე ჩერდებოდა გაშლილ ზღვაში. მგზავრები, ბარვი და საქონელი, თუ კარგი დარი იყო, ფელიუგების საშაულებით გადაჰყავ-გადმოჰყავდათ და გადაჰქონ-გადმოჰქონ-დათ; ხოლო ვინაიდგან დაწყნარებული აძინდი ზღვაზე იშვიათია, ფოთელი მგზავრები რეინის გზით ჯერ სამტრედიას ადიოდნენ, მერე ბათომს ჩადიოდნენ და იქ სხდებოდნენ გემში, როცა საამისო მგზავრობა მოუხდებოდათ. ვინც ამას რაიმე მიზეზის გამო, ვერ ახერხებდა, იჯდა გულ-ხელ-დაკრებილი და უცდიდა გამოდრებას.

ეს გემ მიუკარებელი „ნავთ-საღვურიც“ მოწყვეტილი იყო ქალაქისაგან რიონის უმთავრესი ტორით. აქ ერთი ვაგლაბი სანავო იყო გამართული და, თუ ქარი არა ჰქონდა, თუ წვიმა არ მოდიოდა და თუ თითონ მენავე სიმონ კირპუქაძეც ცუდ გუნებაზედ არ იყო, არგონავტების დროინდელი ნავით დიდის შიშითა და გაჭირვებით შეეძლოთ ეგრედ წოდებულ დიდ კუნძულზე გადასვლა. აქედან კაობიან კავნარებს შეუა მიდიოდა ისეთ კისერ-სატეხი „გზა“, რომ კულტურულ ადამიანის ხელი-სა და ზრუნვის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ფეხით ამ გზის გავლა შეუძლებელი იყო. კუუათამიკო-ფელი მეეტლეც სათოფეზე არ ეკარებოდა. მხოლოდ, „მელინეიკები“ და „მედროგები“ ეწეოდნენ ამ უგზური გზის ექსპლორაციას და ვიღრენავთ-საღვურამდე მიაღწევდით, ხუთ-ექს ალაგას მაინც მოვიხდებოდათ „ლინეიკიდგან“ გადმოსვლა, რომ მეეტლეს მიჰშველებოდით და ეტლი ტალახის უკუსეულიდგან ამოგეთხიათ.

ზედ „ბულგარის“ ბოლოზედ, ბალის გვერდით, ამ ერთად-ერთს გასართობსა, თვალისა და გულის გადასაყოლებელ ალაგას ბაზარი იყო გამართული, საიდამაც ერთის მხრით, უსუფთაობის სუნი და, მეორე მხრით, ღრიან ცელის ხმა მთელ ბალბულვარს ედებოდა და მოსეირნეთა ყნოსვესა და სმენას ცუდს დღეს აყენებდა.

ვაჟთათვის ერთად-ერთი სამოქალაქო სასწავლებელი იყო. ქალთათვის ერთად-ერთი ოლგის პირველ დაწყებითი სკოლა. არც ერთისა და არც მეორეს შესაფერი და ხეირიანი ბინა არა ჰქონია. სამოქალაქო სასწავლებელი ორ სხვა და სხვა ნაქირავებ შენობაში და ნაქირავებ ეზოში იყო მოთავსებული, ხოლო ამ სასწავლებელთან არსებული სახალხო განყოფილება კიდევ ცალკე იყო და ისიც თითქმის ერთი ვერსის დაშორებით.

\*) იხ. „კლდე“ № 9.

გურია, მარჩენალი და მკედავი ფოთისა, ავ-  
რევე მოწყვეტილი იყო ფოთისაგან მდ. მალთა-  
ყვით. მართალია ამ მღინარეზე თ-დ გურიელებს  
ბორანი ჰქონდათ გამართული, მაგრამ როცა ქარი  
ჰქონდა და ზღვა ღელავდა, ბორანის მოქმედება  
შეუძლებელი იყო. ხშირად მთელის კერაობით მა-  
ლთაყვის გამა-გამორმა დატვირთული ცხენითა და  
ურმებით ეყარნენ საბრალო გურულები მინდვრად  
და გაჩენის დღეს იწყევლილნენ. რამდენი მათგანი  
გაცივებულა, იქ ფილტვების ანთება მოსვლია და  
ოჯახი დაუობლებია, ეს ერთმა ღმერთმა უწყის და  
ბევრმა გურულმაც იცის, თუ სიმართლის თქმას გა-  
აძღვინებენ.

როცა ასეთი ამბავი ხდებოდა, ე. ი. როცა  
მალთაყვაზე უამინდობის გმირი, ბორანი ვერ მუშა-  
ობდა, ფოთის ბაზარზე ყოველგვარი სანოვაგის ფა-  
სი ერთი-ორად მატულობდა და ჩარჩებს დღესასწა-  
ული უდგებოდათ.

მდ. კაპარჭა, მოღიდდებოდა თუ არა, ექსკურ-  
სის სალერდელი აეშენებოდა და პირველ ყოვლისა  
ფოთის უმთავრეს ქაჩებში დაიწყებდა გამანადგურე-  
ბელ სეირნობისა და ზოგჯერ მაღაზიებსა და კერძო  
სახლებშიაც შეიქრებოდა, რა თქმა უნდა, არა კე-  
თილი განზრახვით.

არ იყო ხსენება სასაკლაოსი და ირც კი იუ-  
და ვინმემ აქ. თუ ამას თანამედროვე ჰიგიენისა და  
ტეხნიკის შესაფერად უნდოდა მოწყობა.

ახლა ფოთს ევროპიულად მოგვარებული,  
ღრმა განიერი და მყუდრო ნავთ-სადგური აქვს,  
სადაც ყოველ დღე რამდენიმე გმირი რუსეთისა თუ  
საზღვარ გარეთისა იტვირთება და იცლება, სადაც  
რამდენიმე ათასს მუშას ლუკმა პურის მოპოვების  
საშუალება ეძლევა.

დიდი კუნძული, წინად რომ გაუვალი ჯაგნა-  
რითა და ნარ-ეკალით იყო მოცული, დღეს საუკე-  
თესო უბანს წარმოადგენს და, სადაც „ლინეიკა“  
და „დროგი“ ძლიერ-ძლიერით დადიოდა, ტრამვაი  
ჰმოქმედობს და ელექტრონით არის გაჩაღებული.  
ერთი საუკის ადგილი იქ, წინად რომ ორშაურად,  
ან აბაზად ჰქონდა, ახლა ხუთ-ექვს თუმნადაც  
აღარ იშოვება.

რიონის უმთავრეს ტოტზე, სადაც თითო-ორთ-  
ლა მგზავრი ლახ-ლახა ნავით გაპყავ-გამოპყვდათ,  
დღეს ლაზათიანი და მკვიდრი ხიდია აგებული იქ-  
ვე, ცოტა ზემოდ წყალსაყანია მორთული.

ბაღში და ბულვარზე მოსეირნეთა სმენას და  
ყნოსებას აღარავითარი საფრთხე მოელის, რაღვანაც

ბაზარი უფრო მოხერხებულ ალაგას არის გადატა-  
ნილი, სადაც მეფის დულებათვის, ფარლალა და  
ვიწრო ფიცრული ფარდულების მაგნიტად, დიდი  
და ნათელი ბეტონის შენობაა აგებული.

უწინდელი ბაზრის ერთი ნაწილი ბულვარს  
მიჰმატებია, ხოლო მეორე ნაწილს აშვენებს უზარ-  
მაზარი, მოხდენილი და ამაყად ზეალზილები ახ-  
ლი ტაძარი, საქვეყნოდ განთქმულის აია-სოფიის  
ტაძრის გეგმისაებრ აშენებული.

სამოქალაქო სასწავლებლისა და ოლგის პირ-  
ველდაწყებით სკოლის გარდა ახლა ვხედავთ სავაკ  
გინძაზიას, საქალებო გომნაზიას, სახელოსნო სასწავ-  
ლებელს და რამდენსამე დაწყებით სკოლას. ყველას  
თავისი საკუთარი ბინა და ეზო აქვს, ყველაში საკანია  
(ზოგშიაც მეტი) რიცხვია მოწაფებისა.

მდინარე მალთაყვაზე შშვენიერი და მტკიც-  
ხიდია გამართული და სოფელ უნაგერამდე (სუფსა)  
გზატკეცილია გაყვანილი. ყოველ დღე სამი-ოთხი  
დილიუანი და რამდენიმე ეტლი მიდი-მოდის ამ  
გზით, ხოლო დატვირთული ურმებისა და ცხენების  
დაუბრკოლვბრივ მიმოსვლას ხომ ანგარიში არა  
აქვს.

მდინარე კაპარჭას ქალაქის მხრით მაღალი და  
მკვიდრი დამბა ჰდარაჯობს და ქუჩაში დაუპატივებ  
ლიდ სეირნობისა და ქალაქის დარბევის ნებას აღარ  
აძლევს.

სასაკლაო თანამედროვე ჰიგიენისა და ტეხნი-  
კის თანახმად აღუშენებიათ და მოუწყვიათ.

ყოველივე ეს და ბევრი სხვა, რომელთა აღ-  
ნიშვნასაც საჭირო დრომდე გადავდებთ, სულ ბ-ნის  
ნიკოლაძის საქმიანობისა და უნარიანობის ნა-  
ყოფია. ამის დანახვასა და მიხედრას არც იმდენად  
დიდი გამჭრიახობა უნდა, თუ ვისმეს ძალად არა  
სურს თვალები დაიბრმავოს, ყურები მოიყრუოს და  
მასსოებრობა დაიხშოს იმ წინდაწინვე აჩემებულის  
აზრით, რომ მაღლი უექველად მატლად გადავჭირ-  
ოთ...

მაგრამ ეს შემდეგისოფის გადავდოთ.

გარეშე.

—  
წინანდელ წერილის შემდეგი შეცდომები  
გთხოვთ გაასწოროთ:

ამაყად დამყოლთა = ამყოლ-დამყოლთა.

աղաթեցու = աղեցու.

Վյալ-Շաղցիլուած = Վյալ-Շաղցիլուած.

ոջոցը.

## ՀԱՅԵՏՈՒ ,ԻՄԵՐԵՏՈՒ“

gaհետ „imերետուս“ գամուցլամ աხալուս տաճամ-  
շիրոմլեցու դա հրեգավուու քիաճատ չկա ախալո  
միմարտուլեցա հիշեն սահոցալուեցրու լեռուրեցամ.   
առ Շեցցուուու սահում առ լիլունատ ցանցուու ամ  
նածոյած և ու ու զուրտա տաճամ սուրպաս, հրմելուու  
ալուլուցմուլեցա ամ ցանցու.

տաճամեցրուու յարուլմա լեռուրեցամ թին թաւ-  
ուու. ցահեցն ախալու ոնքրեցեցու, տաճ մուշպեցն  
ախալու օւցեցու պայլա ամաս ցանցու „imերետու“ յար-  
ցա եցուած. սափուրտա, հրմ սահոցալուեցամապ ցա-  
ցուս ախալու կյանքուս մենաշնելուած յև կո ձրեսու  
մոցալուուած.

Յունուույշուրու զուրուեցու հիշենուս յիշպնուս, մուսու  
սուրուալուրու թիր և յունումուրու լունց մեռլուա  
համուրինուս մերուու ցանան յրտմանցու. մաշրամ Շո-  
նանարտուս մերուու ուսուն ույտու թինանմուցցուամ արո-  
ան յրտմանցուան, հրմ լունցուս մոցրուուեցա լու,  
զուլու մատցան յրտ Յունուույշուր սունտրէս մուզու-  
լուցու. ամուս անեսնեցա սեցատա մուրտու ուսուր, հրմ  
պամլուս յրտու յրունուրու ձրոցրամ առա ցայշու.  
առ, նամուցու մունցու սեցուս համուրինուունուս և  
առա ուս, հրմ ամամու հրմելում թարլուս մույժու-  
ցուս ծրալու. պամլուս հիշենմու մարտու մշատա կյանքու  
ուսու Շեյքաշուրեցիլու և պայլա մաս ստեռցա յրու-  
նուր ձրոցրամաս. մաշրամ հա առուս յրունուրու  
ձրոցրամա? սումա ու օւցատա, հրմեցիսապ արարեցն  
յրուս Շեյմացցենուրու յըլումբուրուցու. մարտու յրտու  
